საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №116/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 16 ოქტომბრის №116 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №762/116-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 9 დეკემბრის №116/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევაზე. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა მოსამართლემ არ ჩაატარა სასამართლოს სხდომა, ხოლო ამ პერიოდში სადავო ქონება გასხვისდა და მოსარჩელისთვის დავას დაეკარგა აზრი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2017 წლის 10 იანვარს სარჩელით მიმართა -- -- წარმომადგენელმა მოპასუხეების -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ გაცემული მინდობილობის ბათილად ცნობა, ასევე უძრავ ქონებებზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელემ მოითხოვა -- -- და -- -- სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე -- --, -- --, -- -- №-- (დაზუსტებული ფართობი: -- კვ.მ. საკადასტრო კოდი --) და -- -- სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე -- --, -- --, -- -- №--. (დაზუსტებული ფართობი: -- კვ.მ. საკადასტრო კოდი -- --) ყადაღის დადგება.

-- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 იანვრის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო -- -- და -- -- სახელზე -- საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას და -- -- სახელზე -- -- საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას.

მოპასუხე მხარემ შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2017 წლის 3 თებერვალს. -- -- დაზუსტებული სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2017 წლის 13 დეკემბერს. მოცემულ საქმეზე სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 22 დეკემბერს, 15:00 საათზე, თუმცა სასამართლოს არაერთი მცდელობის მიუხედავად, მოპასუხე -- -- სასამართლო უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდა.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- სამსახურს დაევალა, მოპასუხე -- -- უწყების ჩაბარება, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. -- -- სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინებით მოპასუხე -- -- შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით ეცნობა, რომ -- -- მიერ წარდგენილ სარჩელზე ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დანიშნული იყო 2017 წლის 22 დეკემბერს 15:00 საათზე.

დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებელი მოპასუხე მხარემ წარადგინა 2018 წლის 12 აპრილს.

საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2018 წლის 15 აგვისტოს.

2018 წლის 15 აგვისტოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა და მოითხოვა ნოტარიუს -- -- მიერ 2018 წლის 29 ივნისს გაცემული №-- სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული აღსრულების შეჩერება. -- -- სასამართლოს 2018 წლის 16 აგვისტოს მოსამართლე -- -- განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2018 წლის 31 აგვისტოს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2019 წლის 18 ივლისს -- -- დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს. დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებელი მოპასუხე მხარემ წარადგინა 2019 წლის 25 სექტემბერს. -- -- შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2019 წლის 18 სექტემბერს, ხოლო -- -- და -- -- 2019 წლის 25 სექტემბერს.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 17 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- პოლიციის დეპარტამენტის -- -- სამსახურს (უბნის ინსპექტორს) დაევალა მოპასუხე -- -- დაზუსტებული სარჩელის ჩაბარება.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 15 სექტემბრის განჩინებით -- -- დაზუსტებული სარჩელის ჩაბარება დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- პოლიციის დეპარტამენტის -- -- სამსახურს (უბნის ინსპექტორს) მოპასუხე -- -- მისამართზე - --, -- №--, ბინა №--; ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- დეპარტამენტის -- -- სამსახურს (უბნის ინსპექტორს) მისამართზე - --, --, მე-2 კვ. კორპუსი №--, ბინა №--.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 28 სექტემბერს მიღებულ იქნა განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რითაც მოპასუხე ნოტარიუს -- -- ეცნობა, რომ მის წინააღმდეგ სასამართლოს წარმოებაში იყო -- -- სარჩელი. მოპასუხე ნოტარიუს -- -- განემარტა, რომ ვალდებული იყო შეედგინა, წერილობითი ფორმით, შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე და იგი სასამართლოში წარედგინა გზავნილის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- დეპარტამენტის -- -- სამსახურს (უბნის ინსპექტორს) დაევალა სასამართლო უწყების ჩაბარება მოპასუხე -- --, შემდეგ მისამართზე - --, -, -- №--; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- დეპარტამენტის -- -- სამსახურს (უბნის ინსპექტორს) დაევალა სასამართლო უწყების ჩაბარება მოპასუხე - - -- შემდეგ მისამართზე - --, -- №--, ბინა №-- ან/და --, -- №--; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- დეპარტამენტის -- -- სამსახურს (უბნის ინსპექტორს) დაევალოს სასამართლო უწყება ჩაბარება მოპასუხე -- -- შემდეგ მისამართზე - --, --, -- კვ. კორპუსი №--, ბინა №--.

2020 წლის 24 ნოემბერს -- -- სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- --.

2020 წლის 26 ნოემბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. -- -- სასამართლოს 2020 წლის 30 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 9 დეკემბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 16 ოქტომბრის №116 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი

არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[1]

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

დისციპლინური გადაცდომის მხრივ მოსამართლის ქმედების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის ვადის დარღვევას და რა შეიძლება მივიჩნიოთ საპროცესო ვადის არსებითად დარღვევად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს. საჩივრის ავტორის განცხადებით დავის პერიოდში გასხვისდა სადავო ქონება რაც მიუთითებს მხარისათვის ზიანის შესაძლო მიყენებაზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ სარჩელი -- -- სასამართლოში წარადგინა 2017 წლის 10 იანვარს. აღნიშნულ საქმე მოსამართლე -- -- გადაეცა 2018 წლის 31 აგვისტოს, ხოლო მოსამართლე -- -- 2020 წლის 26 ნოემბერს. ამდენად, მოსამართლე -- -- წარმოებაში საქმე იმყოფებოდა 2 წელი, 2 თვე და 26 დღე.

დადგენილია, რომ საქმეში მონაწილეობდა რამდენიმე მოპასუხე, რომელთათვისაც სარჩელის ჩაბარება ხდებოდა არათანმიმდევრულად. მხარეთათვის მასალების ჩაბარების მიზნით მოსამართლემ გაავრცელა საჯარო შეტყობინება, ხოლო პოლიციისათვის სარჩელის ჩაბარების დავალების შესახებ განჩინება მიიღო 3-ჯერ. ასევე, მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, რამაც ხელი შეუწყო საპროცესო ვადის დარღვევას. მოპასუხეებისათვის სარჩელის ჩაბარებასთან დაკავშირებული საპროცესო ღონისძიებების გატარება მოსამართლეს უწევდა დაზუსტებული სარჩელის შესაბამისად.

ამდენად, მოსამართლის დატვირთულობის, მის მიერ განხილული შუამდგომლობების რაოდენობისა და განხორციელებული საპროცესო მოქმედებების პერიოდულობის გათვალისწინებით, მის მიერ საქმის განხილვის ვადის დარღვევა, თუნდაც 2 წლისა და 3 თვემდე დროით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან საპროცესო ვადის დარღვევა არ ყოფილა მოსამართლის ბრალეული ქმედებით გამოწვეული.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

[1] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №116/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი